

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მატეჟს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018

შინაარსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის	
დასრულებული წლისათვის-----	3
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით----	4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	
წლისთვის -----	5
განმარტებითი შენიშვნები-----	6

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	12508688
საქონლის გაყიდვიდან	12,111,533
მომსახურების გაწევიდან	143,111
სხვა	254044
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,604,055
საერთო მოგება	23112743
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	1,391,982
ცვეთა და ამორტიზაცია	319,865
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	86,565
იჯარის ხარჯი	1,271,101
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1001440
სულ საოპერაციო ხარჯები	4070953
საოპერაციო მოგება	19041790
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-377134
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი წმინდა	
მოგება დაგეგვრამდე	18664656
მოგების გადასახადის ხარჯი	
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	
დივიდენდი	
სულ წლის სრული შემოსავალი	18664656

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	2018/	2017
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	71586	344873
სავაჭრო მოთხოვნები	528355	721347
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	11216	82260
მარაგები	3151609	2218964
- მზა პროდუქცია	3057658	2103023
- სხვა	93951	115941
სხვა მიმდინარე აქტივები		
სულ მოკლევადიანი აქტივები	3762766	3367444
გრძელვადიანი აქტივები	91614	91614
სხვა არამატერიალური აქტივები	4237	4237
ძირითადი საშუალებები	1985693	2108793
სულ გრძელვადიანი აქტივები	2081544	2204644
სულ აქტივები	5844310	5572088
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	5853020	5093561
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	51811	13037
საგადასახადო ვალდებულებები	280874	200122
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	986616	1460634
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7172321	6767354
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	399418	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3991418	-
სულ ვალდებულებები	7571739	6767354
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	700	700
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1728129	-1195966
სულ საკუთარი კაპიტალი	-1727429	-1195266
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5844310	5572088

**კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისათვის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლამდე	700	-1031399	-1030699
კორექტირებები	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისათვის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ	700	-1031399	-1030699
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	-165267	-165267
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	700	-11-5966	-1195266
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		-532863	-532863
დივიდენდი			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	700	-1728829	-1728129

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

კომპანია „მატექს ჯორჯია“ ს/კ 200157169 მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული და ფაქტიური მისამართია, საქართველო ქ.თბილისი აღმასენებლის 156, ძირითადი საქმიანობა გახლავთ საოჯახო ტექნიკის იმპორტი, კომპანია ახორციელებს ტექნიკის რეალიზაციას საქართველოს მშტაბით, აგრეთვე ეწევა ამ ტექნიკის ექსპორტს საქართველოს ფარგლებს გარეთ. საწარმო, მწარმოებელი თურქული ბრენდის „მუსტაფა“-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. კომპანიამ საქართველოს ბაზარზე უკვე 19 წელია წარმატებით ოპერირებს. „მატექს ჯორჯია“-ს მიერ დასაქმებულთა რაოდენობა ამჟამად 110- ადამიანს აღემატება.

კომპანიის 50%-50% ფლობენ ჯენგიზ და ჰუსეინ მათარაჯები, კომპანიის დირექტორები არიან

ჯენგიზ მათარაჯი და ჰალილ სემიზ. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 700 ლარს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს- ს) შესაბამისად. რომელიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2017 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად საწარმოს

სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა

იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპითვალისწინებს. კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს)

და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების

ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოადგენს აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების სასურველი ოპერირებისათვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისათვის დადგენილია შემდეგი სასარგებლო გამოყენების ვადები: შენობებისთვის 20 წელი, დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვის 5 წელი. ყველა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივების ნაღჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5-იანი ცვეთის განაკვეთი, ელექტროგადანცემ მოწყობილობაზე 8%-იანი განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 20%-იანი ხოლო ოფისის აღჭურვილობაზე 20%-იანი განაკვეთი.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4 შემოსავლები

	2018	2017
მომსახურების რეალიზაცია (დღგ - 18%)	143111	123949
საქის რეალიზაცია (დღგ-სგან გათავისუფლებული)	63552	80573
საქონლის რეალიზაციიდან (დღგ - 18%)	12344814	11454030
უსასყიდლოდ მიწოდება	36360	52085
გაყიდული საქ. დაბრუნება	-79149	-74558
სულ რეალიზაცია:	12508688	11636080

5 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
მზა პროდუქცია	8659161	8300900
უკან დაბრუნება	-63722	-60026
სულ :	8594539	8240874

6 საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
დაქირავებული პირების შრომის ანაზრაურება	1391982	11498726
სულ:	1391982	11498726
სასაწყობე/საოფისე ფართის იჯარის ხარჯი	1271101	1110128
სულ:	1271101	1110128
ფიზიკური პირებისგან აღებულ სესხებზე	0	0
საბანკო დაწესებულებიდან აღებულ სესხებზე	2233000	1633750

სულ სესხის %

86565

34174

- კომპანიას აქვს ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარით აღებული ფართი გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირისაგან რომელსაც იყენებს როგორც სასაწყობო ასევე საოფისე ფართად;
- სესხის პროცენტის ხარჯი წარმოადგენს მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებაზე დარიცხულ პროცენტს, რომელიც გაანგარიშებულია შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების „გრაფიკის“ მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

	2018	2017
ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	3552	110741
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	68034	234130
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში		2
სულ:	71586	344874

მარაგები

	2018	2017
მზა პროდუქცია	3057658	2103023
სხვა მარაგები	93951	115941
	3151610	877,981.59

საწარმოს მარაგები ძირითადად მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ მზა პროდუქციის მარაგებს და საგარანტიო მომსახურეობისთვის საჭირო ნაწილებს

ძირითადი საშუალებები

2018 წ.

მიწის ნაკვეთები	91614				91614
შენობები	1 262 893			89949	1 172 944
მანქანა-დანადგარები	107078			15480	91598
კომპიუტერული ტექნიკა	24337	6378	500	4134	26081
ავეჯი და სხვა ინვენტარი	27970	9612	2735	10634	24213
ოფისის აღჭურვილობა	323286	45358	3414	100503	264727
სატრანსპორტო საშუალებე	99080	79832		28214	150698
სარეკლამო საშუალებები	231751	761		60146	172366
იჯა/ აღებული ქონე/კეთილმოწ.	32398	62489	1017	10805	83065
	2200407	204430	7666	319865	2077307

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ჯამი
2017 წლის დასაწყისში	4237	4237
შემოსავლა		-
გასვლა		-
2017 წლის ბოლოს	4237	4237
შემოსავლა		-
გასვლა		-
2018 წლის ბოლოს	4237	4237
	პროგრამები	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია		
2017 წლის დასაწყისში		

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

-

2017 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

-

2018 წლის ბოლოს

პროგრამები

ჯამი

საბალანსო რირებულება

2017 წლის დასაწყისში

4237

4237

2017 წლის ბოლოს

4237

4237

2018 წლის ბოლოს

4237

4237

საგადასახადო ვალდებულებები

2018

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

7989

გადასახდელი ავანსის დღგ

0.00

გადახდილი ავანსის დღგ

0.00

არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი

0.00

გადასახდელი დღგ

242917

გადასახდელი მოგების გადასახადი

0.00

გადახდილი დღგ

1806

ქონების გადასახადი

21553

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად და ფასს-ის 35-ე მუხლის გათვალისწინებით.

ფასს მსს-ზე გადასვლისას არ განხორციელებულა არსებითი კორექტირებები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიის მენეჯმენტი საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით ახერხებს რისკების მართვას. კომპანიის ოპერაციების სიმარტივიდან გამომდინარე არ არსებობს რისკების მართვისათვის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 30 სექტემბრის თარიღისათვის.

2018 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

